1919 ნაპერწკალი

ყაზგანგაზეთი

ბავშვთა ჟურნალი

·მსურველ წლოვანთათვის·

დეკემბერი
№ 24

1875

შინაარსი:

I—სურათი 1

II—დედის სიყვარული,—ლექსი შ. მდგიმელისა . . 3

III—ბებიას მელია,—(დასასრული) ირ. ევდოშვილისა . 5

IV—მამაცი ბავშვი, საშობაო ამბავი,—მ. გარიეულისა . 9

V—თოვლი... თოვლი...—ლექსი ი. სახარულიძისა . 17

VI—კურდღლის ბაჭია და ციყვუნია,—(თარგ.) ივანე როსტომაშვილისა 19

VII—გასართობი: რებუსის აღსნა 24

VIII ნოტები,—ორი სიმღერა, ზ. თალიაშვილისა . . 25

ტფილისი, ელექტ.-მბეჭდ. ა. ძერესელიძისა, გაბაევის შესახვევი № 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს სახელმწიფო
ბიბლიოთეკა
თბილისი

დედის სიყვარული.

(ვუძღვნი ნინო გუბელაძეს).

ურავინ მეტყვით:
ნურც შინ, ნურც გარედ,
გინდ ვიცინოდე,
ვკვნესოდე მწარედ,
რომ ქვეყანაზე
დედაზე ტკბილი,
გრძნობით მხურვალე
და გულით თბილი
სხვა ვინმე იყვეს.

თუმცა შორსა მყავს,
მაგრამ დედის გულს,
იმის ტკბილ ალერსს,
იმის სიყვარულს
და გულით ნათქვამს
სევდიან ნანას,
მარტო მაუფლოთ
კინდ მთელ ქვეყანას,
რა დამავიწყებს!

დღისით თუ ღამით,
ცხადად თუ ძილში,
მწარე მოთქმაში,
კინდა ღიმილში —
მის წმინდა ალერსს
გულით ვატარებ,
მის ნათელ სახეს
თვით მზეს ვადარებ.

შ. მღვიმელი.

ბეგიას მელია.

(დასასრული).

ხალი თოვლი ნელ-ნელა, ზლაზვნით ჩამოდიოდა ძირს. ხეებს, რომელთაც დიდიხანია ფოთოლი გასცვივდათ, ტოტები თეთრი არშიებით მოერთოთ. ნაღვლიან, გაუვითლებულ შემოდგომას ადგილი თეთრ, მხიარულ ზამთრისათვის დაეთმო. მაგრამ ბელურებს-კი ამდენად არ ემხიარულებოდათ. თოვლმა მთლად დაჭეარა დედამიწა. ველარც ჭია-ღუას შოულობდნენ, არც სადმე ბალახის თესლი იშოვებოდა. ამიტომ ისინი ახლა კალოებსა და სახლის ეზოებს შეეკედლნენ, რომ აქ მაინც ან ქათმების საკენკისთვის აეკრათ ცოტა რამ, ან ბოსლებიდან გადმოერილ ნაკელზე მოეძებნათ საჭმელი.

ფანცქალამაც, რასაკვირველია, კარგად იცოდა მათი ხასიათი და ბოსლიდან ახალი ნაკელი გამოიტანა, რომ ბელურები მიეპატიჟნა. არც მოსტეუვდა. მშიერმა ბელურებმა თეთრ თოვლზე შავად გადაშლილი ნაგავი მალე შენიშნეს და დარბაისელ სტუმრებივით ჩამწკრივდნენ იქავე, მახლობელ ღობეზე. ისინი, რასაკვირველია, ახლავე ეწვეოდნენ სუფრას, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ ფანცქალას წასვლას ელოდნენ. ფანცქალა-კი ნაგავზე ფუსფუსებდა. ის გამალებული უქებდა თვის კაკანათს. ხელით ამოთხრილ ნაგავში ჩადო კაკანათი, აუწია დასაცემი კრკალი, გადაუჭიმა ზედ ენა, ქვემოდან მაფზე ძიბმული ჰურის მარცვა-

ლი გაამაგრა ენაში, მიაყარა კაკანათს აქეთ-იქიდან ნაკელი, ასე რომ მხოლოდ წითელი ჰურის მარცვალი-ღა ჩანდა, მერე რამდენიმე მარცვალი კიდევ მოუპნია წინ კაკანათს და გაშორდა სანაგვეს. ჩიტებსაც ხომ ეს უნდოდათ: მაგრამ არც ქათმებმა დაიწუნეს ნაგავში საჭმლის ძებნა და, მოჭკრეს თვალი თუ არა, რომ ბეღურები დ-ეშვნენ ძირს, ისინიც იქით გაეშურნენ. ჰირველად წითელი მამალი მოიჭრა და, თითქოს იუკადრისა ბეღურების თავსედობაო, რამდენჯერმე შემოტრიალდა, მერე-კი ძლავრად გაჭკრა კლანჭები ნაგავს. მას კაკანით დედლებიც მოჭევნენ. ბეღურები მოკრძალებით მოშორდნენ იმ ადგილს, სადაც ჰურის მარცვლები მოაპნია ფანცქალამ. ისინი ნაგვითაც კმაყოფილნი იყვნენ. მამალი გახარებული სცემდა ნისკარტს ჰურის მარცვლებს და თან კლანჭებითა სთხრიდა ნაგავს. მაგრამ მან უცებ ფრთხიალი დაიწყო. შემკრთალი ბე-

ღურები ღობეზე აფრინდნენ. ქათმებმა კისკისი მორთეს. ფანცქალა სანაგვისაკენ გამოიქცა, მაგრამ გვიან-ღა იყო... მის კაკანათს ფეხით მიათრევდა წითელი მამალი. ბევრი, ძრიელ ბევრი სდია ფანცქალამ მამალს, რომ როგორმე თვისი საყვარელი კაკანათი დაეგდებინებინა; მაგრამ, ამაოდ. მოღლილმა მამალმა ეშმაკობა იხმარა და კაკანათიანად შემვრა ფიჩხებში. ბევრი უგურგულა ფანცქალამ მამალს, მაგრამ, არამც თუ იმან, ბებიას ,,ჯუჯუ-ჯუჯუ''-მაც-კი, როდესაც ის საკენკის საჭმელად ემახოდა ქათმებს, ვერ გამოიყვანა თავსაფარიდან ფრთხილი მამალი.

,,დამიდგეს თვალები, დამიდგეს თვალები!'' — იცემდა მუხლებზე ბებია ხელს და მოსთქვამდა საბრალო ხმით მამლის სილამაზეს, მის რიხიან ხმას, მის უნარს ძერასთან ბრძოლაში.

,,მაგრამ რას გააწყობდა იმ წუწკ მელასთან, რას გააწყობდა იმ შეჩვენებულთან?''—ჩიოდა ბებია. ფანცქალაც, რასაკვირველია, უდასტურებდა, რომ უეჭველად მელია წაიყვანდა მამალს; რადგანაც იმასაც მოესმა წუხელის საქათმიდან ქათმების ფრთხიალი. აბა, როგორ გაჭბედავდა ეთქვა ბებიასთვის თვისი კაკანათის ამბავი.

*
* *

შებინდდა. ნაგავზე გამძღარი ბეღურები ზოგი საბძელს შეეფარნენ, ზოგი სახლის ჭერს. დაღონებული ბებიაც იჯდა ქოხში, ბუხრის წინ და ზუზუნებდა. ის ისევ მამალს დასტიროდა, მაგრამ ეური-კი მახვილად ეჭირა საქათმისკენ. ფანცქალას ფათერაკასთან შეუგვიანდა და ამიტომ წამოსვლის დროს რამდენიმე ასანთი გამოართვა, იქნებ გზაზე დამჭირდესო. გაბორიტებულ ბებიას ის სრულებით გადააავიწყდა. მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ უცებ რაღაც ფრთხიალი მოესმა საქაოიდან. „არიქა, ფანცქალ, მიშვილე, მელია შეჭრილა!“ დაიძახა მან და ყავარჯენით ხელში გაიჭრა გარედ. „ქსი, ქსი! უბა!“—ეკივლა ბებია საქათმის კარებთან ყავარჯენ-მოძარჯვებული. „აფ, აფ, აფ!—“

უეცდა მურია საქათმეს. მელიამაც აღარ დაუოვნა და უცებ წამოხტა საქათმიდან. ბებიამ რაც ძალი და ღონე ჭქონდა დაუშვა მას თვისი ყავარჯენი. მელია მიწაზე გაშხლართული ემუდარებოდა ღრიალით ბებიას შეეჩერებინა ყავარჯენი. გაოცებული ბებია და არა ნაკლებ გაოცებული მურია დასცქეროდნენ კაკანათით ხელში მიწაზე გაშხლართულ მელიას. მაგრამ, რადგან მათ არასოდეს არ ენახათ ამგვარი მელიკო, მიჭხვდნენ, რომ ეს იყო ჩვენი გვერდებ — დაზელილი ფანცქალა, რომელიც ღამით საქათმეში შემჯდარ მამალს მიეპარა კაკანათისთვის.

ი. ევდოშვილი.





მამაცი გავშვი.

საღამო ჟამი მოახლოვებული იყო, როდესაც ილიკომ დასტოვა ქალაქი და ჩქარის ნაბიჯით გაუდგა განიერ საფოსტო შარა გზას. ის მიდიოდა ჩქარა, შეუჩერებლივ; ზურგზე წიგნებით ჩანთა ეკიდა; ძველ ყაბალახით შეეხვია ყელი; განიერი ქუდი მძიმედ დასწოლოდა თავზე; მისი გონიერი, მაუვალივით შავი თვალები გზას აცქერდებოდა. ილიკო ტალახს გვერდს უვლიდა, ხან აქეთ გადახტებოდა, ხან იქით და თავის გაცვეთილ ფეხსაცმელს ლაფს არიდებდა.

უფერულ დეკემბრის დღეს მოწყენილობას უორკეცებდა ირგვლივ წამოსეული, კვამლის ფერი, უხალისო ღრუბლები. თეთრად შეფერცხლილი შორეულ მთების მწვერვალები ამაყად ჩამოჰყურებდნენ ჩაშავებულ ბარს...

ბინდდებოდა. ილიკო მიდიოდა და მიდიოდა; დიდი გზა ჰქონდა გასავლელი. ქალაქიდან თვრამეტი ვერსის მანძილზე ცხოვრობდა დედა მისი სოფელში... ილიკო ქალაქში სწავლობდა; ბინად იდგა ღარიბ ნათესავისას; დედა უგზავნიდა

ფქვილს, ეველს, ქათამს, ლობიოს და ორ მანეთ ფულს. ცუდი იყო ილიკოს ცხოვრების პირობები: ერთ პატარა ოთახში ოთხ სულს ეძინათ; ერთად სვამდნენ, სჭამდნენ, სწავლობდნენ; შეუწეველი ხმაურობა და ჟრიამული იდგა ოთახში; ამათ გარდა კიდევ ოთხი სხვა მოწაფე ცხოვრობდა ამ ბინაზე. სიღარიბისაგან გამუნწებული დიასახლისი ლობიოს მარცვალსაც ითვლიდა თეფშში. დილით, ცივი მჭადის ნატეხზე ხან მისცემდნენ ცოტა ეველს, და ხან-არა. ჩაის მხოლოდ კვირაობით ასმევდნენ.

მხოლოდ ილიკოს არ ხვდებოდა ეს პატივი, რადგან, რა-კი ცოტა მოიზარდა, — ეოველ შაბათს, სწავლის შემდეგ, ხშირად სადილსაც არ შესჭამდა, თავის წიგნებს გადიგდებდა მხარზე, ცოტა პურს ამოიდებდა სახელოში და გასწევდა სოფელში. იქ დედა და ორი პატარა და ეგულებოდა. იმათთან ერთად, ერთ ღამეს კვირაში თავისუფლად ატარებდა ილიკო. კვირა დილით გაკვეთილებს მორჩებოდა, შემდეგ დედას შველოდა: ღობე იყო გასაღობი, ვენახი გასაკრავი, თუ წისქვილში საფქვავი ჩასატანი, — ეველაფერში შველოდა: მარჯვენა ხელი იყო დედის და იმედი დების. მამა სიზმარივით ასსოვდა.

— გაგახაროს შენმა გამჩენმა და კაი დღე მოგცეს, როგორც კარგი შვილი ხარ, — ეუბნებოდნენ მეზობლები.

კვირა საღამოობის დაჭეოფდა დედასთან; დებს წერა-კითხვას ასწავლიდა; ფეფოს მთელი კვირის გაკვეთილს უტიოვებდა და ისევ გასწევდა ქალაქში.

ეხლაც მიდიოდა სოფლისაკენ, ‘ხოლოდ დაგვიანებული იყო და ძლიერ ეშურებოდა, — ვახშმობამდინ იქნებ მივიდე სახლშიო.

ჯერ კიდევ დიდი გზა უძევს წინ. სრულიად დაღამდა; უთვარო ღამეა: ბნელა; გზას და ზედ ტალახს ვერ ამჩნევს.

მიდის და მიდის. არ ილევა გზა. აი, ტუეში შევიდა. გზას აქეთ-იქით მისდევს მუხნარი: ასი წლის ხეებს ცამდის აუწევიათ ამაყი თავები, უმრავად დგანან და თითქო საიდუმლოდ გასცქერიან ერთი მეორეს. მიდის ილიკო და ათას რასმეს ფიქრობს: ,,დასწყევლოს ღმერთმა! რად დამიღამდა; ვინ იცის, როგორა სწუხს ეხლა დედა''...

გავიდა ერთ დიდ ხიდზე. აქ საცალფეხო გზა უხვევდა მინდვრებზე: აქედან უფრო ახლოს იყო ილიკოს სოფელი. ის შედგა.

— რა ვქნა?—გადაუხვიო, თუ წავიდე პირდაპირ? მგონი თოვაც დაიწყო.

ერთი-ორი თოვლის ფიფქი დაეცა და ცივად დაადნა ხელზე. ახლა თან-და-თან წამოუხშირა. ხახე დაუსველდა.

— არა...—გაიქნია თავი,—გადაუხვევ, შევიმოკლებ გზას.

გადაუხვია, გადახტა თხრილზე, შედგა, გახედა მინდვრებს: ბნელა, გზა არა სჩანს.—აზრით გასწია სოფლისკენ.

— ვაი... გზას ავსცდი. ეს ტუე რომელია, ან სადა ვარ?.. რაღაც შხუილი მოესმა...

— წყალი... ასე მოდის... სჩანს დასავლეთით უნდა დავეშვე...

გაჭვა წყლის მდინარებას... იარა ერთ ხანს... დაიღალა, შეჩერდა, გაოფლიანებული შუბლი მოიწმინდა.

— დასწყევლოს ღმერთმა!—მთლად ავირიე; ვაი თუ ვეღარ გავიგნო გზა? თოვს კიდეც. ისევ შარას დავუბრუნდები.

გაბრუნდა უკან, მაგრამ ახლა ვეღარც იქით გაიგნო გზა... აქ შეშფოთდა ბავშვის გული...

— დავიკარგე ნამდვილად... დამათოვს, გავიყინები...—მუხლები აღარ ემორჩილება. იმედს მაინც არა ჭკარგავს; შედგება, იეურება, ვერაფერს ვერ არჩევს. შორს, შორს დაინახა —რაღაც წითლად ანათებს.

— ცეცხლი!—დაიძახა გახარებულმა,—ვის უნდა ენთოს ეხლა ცეცხლი გარედ? ხმას მივცემ...

გასწია იქით, საიდანაც წითელი სინათლე მოსჩანდა.

— ეს რა არის?—ცეცხლი თითქოს ადგილს იცვლის, თითქოს დადის... მეორე... მესამე... ერთმანეთს უახლოვდებიან.

— ვაიმე, დედავ, მგლები!..—წაიჩურჩულა ილიკომ და სიმწარით ჩაიკვნიტა ტუჩები.

— რაღა ვქნა ეხლა: სუნს აიღებენ და მომცვივდებიან... მუხლები მოეკვეთა, კანკალმა აიტანა. საშინელ სანახავად წარმოუდგა თავის თავი: დამესვევიან, დამფლეთენ. როდესაც თოვლი დადნება, მხოლოდ ჩემ ძვლებს ნახავს სოფელი.

ცხადად დაინახა სიკვდილის საშინელი სახე, რომელიც მძიერი მგლის მზგავსად უახლოვდებოდა... თითქოს უკანასკნელად შეებრძოლა სიკვდილს; გაძწარებით ეცა აქეთ-იქით; სიბნელეში ვერ გაარჩია: მიაწუდა თავით მინდორში ობლად დარჩენილ რცხილას; თვალთაგან ცეცხლის ნაპერწკალი წასცვივდა, თავი დაურეტიანდა და უნდა დავარდნილიყო... თავის შველის ფიქრმა დაიხსნა გულის შეღონებისგან. ჩქარა მოიკრიბა გონება; გაეხარდა, ხე რომ ნახა; ჰირჯვარი გადაისახა და ელვის უსწრაფეს მოავლო ხეს ხელები: ხე მსხვილი თან სოველი გამოდგა. ილიკო ხელს ვერ აწვდენდა: რამდენჯერმე სცადა, მაგრამ ამაოდ.

— სუ... ღმუიან! მთელი ხროვაა... ვაიმეე... და კიდევ ეცა ხეს; ხეს აქა-იქ კორძები ჭქონდა. ილიკომ იმათ ჩაავლო ხელი, თითქოს მიეყინა ზედა: აღარ უშვებდა ხელს; მეორეც ნახა, აინაცვლა მაღლა, ფეხი მოიდგა... მესამე, მეოთხე,— როგორც კიბეზე, აცოცდა. ტოტს მისწვდა, მოავლო ხელი, ტანში კატასავით გაიწურა, ერთი შეხტა და ხეს ტოტზე მოექცა.

ეხლა დაიბადა ქვეყნად; ეხლა პირველად დაინახა სიცოცხლე მთელი თავისი სიმშვენიერით. ჩაჯდა, დაისვენა: ეხლა უშიშარ ალაგზეა. თუნდა ორმოცი მგელიც მოვიდეს, ვერას დააკლებს.

ხელის ფათურით მოსძებნა უფრო მარჯვე ადგილი და მოემზადა ჩასაჯდომად. ეხლა ფეხების სისოვლე იგრძნო; ნელ-ნელა დაუწყო ხელ-ფეხმა წვა. მგლების ღმუილი თან-და-თან გახშირდა. ახლა უფრო ანათებს მათი წითელი თვალები.

— ალბად სუნი აიღეს: მოდიან... ღმერთო, დამიხსენი! და ბეჯითად გამოისახა პირ-ჯვარი.

— შიშმა-კი არ დამძლიოს და არ გადავარდე... მოდი ამ უბალახით მივაკრავ თავს ამ მსხვილ ტოტს,—ლაპარაკობს თავისთვის. რის ეოფით შეიხსნა ეელზე შემოხვეული დასვეელებული უბალახი. ამასობაში თოვლმა გადიღო; ცა მოიწმინდა; ღრუბლები თითქოს მიმოიფანტნენ და ცაზე ეარსკვლავებმა აქა-იქ ქურდულად გამოჭვეს თავი. ილიკომ მოავლო თვალი მიდამოს: მახლობლად რაღაც მაღლობი დაინახა.

— ბიჭოს... ჩვენი გორაკი! სად ვეოფილვარ! მე-კი თავი გადაკარგული მეგონა; ვაი, რა ახლოს ეოფილა სოფელი; დავიკივლებ: იქნებ მისწვდეს სოფელს ხმა.

ხელი მაგრად ჩაავლო ხის შტოს და რაც ხმა ჭქონდა დაიკივლა...

II

დაბინდებამდის ჭისკრისკენ ეჭირა თვალი ილიკოს დედას, შვილის მოლოდინში... ვასშამი დაამზადეს, სახლი დასუფთავეს; ფეფო და ცაბეც მოლოდინში იეენენ და ეოველ წამს გარბოდნენ ჭისკართან. დღამდა, თოვა დაიწყო. დედას

მოთმინება დაეკარგა; სახლის კარებთან იდგა და გაჭეურებდა სიბნელეს, მაგრამ თოვლის მეტს ვერაფერს ჭხედავდა.

— რა ვქნა,—რა დაემართა?—ბუტბუტებდა თავისთვის... ღობესთან მივიდა და გადასძახა მაზლს...

— ეი, ვინ არის?—გამოეხმაურა ილიკოს ბიძა და ჭრიალით გამოაღო სამზარეულოს სახლის კარი.

— მე ვარ, მიხეილ!.. ის ბავშვი რომ აღარ გამოჩნდა—რა ვიფიქრო?

— რას ამბობ, ადამიანო; დაზამთრდა: ხუმრობა ხომ არ არის ამ სიშორე გზაზე სიარული. მე კიდეც უნდა მეთქვა: აღარ წამოვიდეს ფეხით, მეთქი; გაილახება ემაწვილი.

ამ ლაპარაკით გადმოვიდა მიხეილი ღობეზე და შეჭეეა სახლში რძალს. მოუსხდნენ შუა ცეცხლს. ილაპარაკეს. ილიკოს დედას ცოტათი დარდი გაუქარდა: ენით ელაპარაკებოდა მაზლს, გონება-კი ილიკოს გარშემო დასტრიალებდა; ვაი თუ ავად გახდა, ან თუ რამე ამბავია მის თავზე. ლაპარაკში ვახშმობამაც მოატანა. მიხეილი წამოდგა წასასვლელად.

— ჩვენთან ივახშმე, ჩემო მაზლო.

— არა, სახლში მელოდებიან.

— რა უყოთ მერე?

ბავშვები ჩოხის კალთაში სწვდნენ ბიძას.

დიასახლისი შეუდგა სუფრის გაშლას.

— სუთ, სუთ, ბავშვებო!—დაიძახა უეცრად მიხეილმა და დაუგდო ეური რაღაცას. ბავშვებმა სული განაბეს და ეურები სცქვიტეს...

— გესმის, ჩემო რძალო...

— ვილაცა კივის...—სთქვა ილიკოს დედამ: სახე გაუფიერდა, ხმა აუკანკალდა:—მიხეილ! ღვთის მადლმა, ჩემი ილიკოა ესა.

— ილიკო-კი არა, მაგრამ ვილაცაა და უჭირს...

კივილი ზედი-ზედ მოისმა. ღამის სიჩუმეში შორიდან მოტანილი ხმა ზარივით კრიალებდა.

მიხეილი გაკვირდა ეზოში...

— აუუუ!.. მისცა ხმა; ისე დაჭკივლა, თითქოს ცა გაპობოო. ილიკოს დედას ჭირის ოფლმა დაასხა: სასე-ჩანაცრული, გიჟივით მისჩერებოდა იმ მხარეს, საიდანაც ხმა მოდიოდა...

— მუუ... მუუ... მუ... ბანი მისცა მგლების ხროვამ დამახილს.

— ვაი შენს დედას, შვილო!—დაიკივლა ელისაბედმა და თავდავიწყებით გაქანდა ჭისკრისკენ: დედის გული ჭვრძნობდა შვილის გასაჭირს.

მიხეილს რძლისთვის აღარ მიუხედავს: ის ვეფხვის ნახტომით გადაეკვლო ღობეს, მეხივით შეკვარდა სახლში, ეცა კედელს, თოფი ჩამოიღო, მხარზე გადაიგდო, გამოიჭრა გარედ, გადახტა შარაზე და ზედი-ზედ დაჭკივლა—მოვდივარ მოსაშველებლადო.

ეოველის მხრით გაიღო მეზობლების კარები და გამოცვივდა ხალხი. დაძახება არავის დასჭირებია: ათ წუთში მთელი სოფელი ფეხზე დადგა. ყველა გარბოდა მინდვრებისკენ; კაცი-კაცს მისდევდა. ვისაც რა მოხვდა ხელში, ის გამოიტანა:—თოფი, ხანჯალი, წალდი თუ კეტი.

გარბოდნენ და გამამხნევებლად უკიოდნენ გზა-დაბნეულს; ყველაზე წინ გარბოდა ელისაბედი; ის ვეღარ ამჩნევდა თოვლს: ცუდი გზა ვერ ეჩერებდა; თავსაფარ გადავარდნილს თმა გიჟივით გადასწეწოდა: ამაოდ უყვიროდნენ: ,,გაჩერდი, ელისაბედ!'' იმას აღარაფერი ესმოდა; ესმოდა მხოლოდ მის ჰირმშოს კრიალა ხმა, რომელიც თან-და-თან სუსტდებოდა.

ერთ საათს შემდეგ ელისაბედისას ძლიერი ცეცხლი იყო გაჩაღებული; ყველას იქ მოეყარათ თავი,—ქალებიც, ბავშვებიც,—ყველანი მოდიოდნენ, სიცივისაგან გათოშილ ლიკოს შალის ნაჭრებით უსრესდნენ ხელ-ფეხს და ელისაბედს იმედს აძლევდნენ; ილიკო მადლობას უხდიდა ყველას, იდიმებოდა და უამბობდა თავ-გადასავალს; ყველა აღტაცებული იყო და უქებდნენ სიმამაცეს გადარჩენილ ბავშვს.

მ. გარიყული.



თოვლი... თოვლი...

ოვლი... თოვლი... დედი, შესე!
როგორ ბარდნის, ვით მოსცურავს:
ხეები ძირს დაზნექილა,
ტოტებს თეთრი ქუდი ჭსურავს!

გაიღვიძე, ვანო, ადე!
რა გახარო, რა მოსულა:
თოვლი, ბიჭო, გაიხედე!
მიწა სულ მთლად დაფარულა!

აბა?.. აბა?.. მართლა, ნიკო!
ვხედავ, ვხედავ, ვენაცვალე!

ვიწყოთ თოვლა—ბურთაობა...
ტანთ ჩავიცვათ, ავდგეთ მალე!

ადგნენ მარდად, ტანთ ჩაიცვეს:
ფეხზე—წინდა, ქალამნები;
ეაბალახი დაიხურეს
და ჩაიცვეს ხელთათმნები.

გახტნენ გარედ, იმღერიან,
თოვლა-ბურთას მიჭვეს ხელი,
ერთმანეთსა თოვლს ესვრიან,
რბიან, ხტიან, ვით კურდღელი.

შემდეგ თოვლის გორგოლები
გადაქელეს, გადალახეს;
ამ დროს იქვე დერეფანში
ბელურების გროვა ნახეს.

ნიკო, შეხე! სიცივისგან
როგორ კრთიან, ძიგძიგობენ;
დღვრემილან შიმშილისგან
და აღარა ჭიკჭიკობენ.

მოდი, მაგათ, ჩვენ რომ ჰურის
ხორბალი გვაქვს შენახული,
დავუყაროთ, ვაკენკინოთ,
სანამ მოვა გაზაფხული!

მართლა, ვანო, მადლი არის,
ჩვენ ამით რა დაგვაკლდება;
ჩიტუნები გამოვკვებოთ
და არც ერთი არ მოკვდება.

როგორცა სთქვეს, იმ დღეიდან
მართლაც ჩიტებს მოულხინეს,
რაცა ჭქონდათ ხორბლეული
მათ აჭამეს, მათ შესწირეს!

ი. სიხარულიძე.

კურდღლის ბაჭია და ციყვუნია.

იყო ერთი ბაჭია, — ნაცარა რომ გინახავთ, სწორედ იმ ფერისა. მარტო გული ჰქონდა თეთრი. სანამ ბაჭია პატარა იყო, ცხვირის გამოყოფას ვერ ბედავდა ჯაგიდან; ამიტომ არც ერთი სხვა ცხოველი არ ენახა, თუმცა ისინი მრავლად ცხოვრობდნენ იმ არე-მარეში. მაგრამ, როცა წამოიზარდა და ფეხებში ღონე მიეცა, სირბილი მოისურვა: გახტა-გამოხტა მინდვრად, დასკუპდა უკანა ფეხებზე და დაიწყო აქეთ-იქით ყურება.



მერე უეცრად შემოტრიალდა და ტეიხკენ გაიქცა.



ჭსედავს—მოჭრილ ხის ძირზე ციცვი ზის. ბაჭიას ციცვი ჯერ არ ენახა, ამიტომ ისიც ბაჭია ეგონა; მიირბინა მასთან, და უთხრა:—გამარჯობა, ბაჭიავ!



ციცვმა უპასუხა:

— გაგიმარჯოს, მაგრამ უკაცრავად: მე ბაჭია არა ვარ, მე ციცვი ვარ.

ბაჭიას გაუკვირდა და ჭკითხა:

— რატომ არა ხარ ბაჭია?

— იმიტომ, რომ—ბაჭიას გძელი, სადა ყურები აქვს, ციცვს-კი მოკლე და ბეწვიანი;—აი, შემოძხედე!

— კიდევ რატომ არა ხარ ბაჭია?

— კიდევ იმიტომ, რომ ბაჭიას სულ მოკლე კუდი აქვს, ციყვს-კი ბანჯგვლიანი.—როცა ბაჭია უკანა ფეხებზე ზის, კუდი სრულიად არ უჩანს; მე-კი, აბა, შემომსედე,—რამოდენა კუდი მაქვს. ბაირაღსაგით თავზე დამფრიალებს! მაშინვე გამოიცნობ, რომ მე ციყვი ვარ, და შენ-კი—ბაჭია!..

— კიდევ რატომ არა ხარ ბაჭია?

— აი რატომ: ბაჭიას ბინა ჯაგში აქვს: ამოსთხრის იქ თათებით ჰატარა ორმოს, ჩაწვება შიგ და იძინებს; მე-კი აი სადა მაქვს ბინა: ბებერი კაკლის ხის ფულუროა ჩემი სახლი; ისე თბილა აქ, როგორც კარგ ოთახში.

ბაჭია კვლავ ჰკითხავს ციყვსა:—კიდევ მითხარ, რატომ არა ხარ ბაჭია?

— კიდევ იმიტომ, რომ ბაჭია მიწაზე დარბის და ხეებზე ასვლა და იქ თამაშობა არ იცის; ციყვი-კი, რომელ ხეზედაც გინდა,—დიდი იოს ის, თუნდა ჰატარა,—ავა კიდეც და ირბენს კიდეცა. აბა, მიყურე!

სთქვა ეს თუ არა, ციყვუნია ახტა ხეზე და თვალის დახამხამების უმალ წვერზე მოექცა კაკლის უდიდეს ხეს. ასევე თვალის დახამხამების უმალ ციყვი ახლა თავქვე დაეშვა და განცვიფრებულ ბაჭიის წინ დასკუჰდა.

მოიბრუნა სული თუ არა, ციუვუნიამ განაგრძო:—ეს ცოტაა. ჩვენ, ციუვებს, ხეებზედაც ისევე შეგვიძლია ხტომა და ნავარდი, როგორც დედამიწაზე. აი, მიუურე; აი, მიუურე!..

სთქვა ეს თუ არა, ციუვუნია კვლავ ავარდა ხის წვერზე და დაიწყო იქიდან ნავარდი ხან ერთ ტოტზე და ხან მეორეზე,—ხან ერთ ხეზე და ხან მეორეზე.

ასე მოინავარდა ციუვუნიამ მთელი იქაური ახლო-მახლო ხეები და კვლავ იმავ მოჭრილ ხის ძირზე წამოსკუპდა. ბაჭია-კი განცვიფრებული თვალს ადევნებდა ციუვუნიას ოინებს და ჯამბაზობას...

ჰკითხა კიდევ ბაჭიამ:—უველაფერი მიამბე?

—არა, ბაჭიავ, კიდევა მაქვს სათქმელი: აი, შენ, ბაჭია, ნორჩ ბალახსა სჭამ, ჯეჯილსა სმოვ, კომბოსტოს ჭკორტნი და ხის ქერქსა ჭღრღნი; მე-კი მარტო კაკლით და თხილით გამოვდივარ მთელ წელიწადს...

—აბა ერთი მაჩვენე, როგორა სჭამ კაკალსა?—უთხრა ბაჭიამ ციუვუნიას.

ახლა ციუვუნია იქვე მდგომ ტეის კაკალზე, მოსწვეიტა

ერთი კაკალი, დასკუპდა უკანა ფეხებზე, დაიჭირა კაკალი წინა ფეხებით, როგორც ხელებით, გადაღრღნა ნაჭუჭი თავისი მაგარი კბილებით, შეჭამა და ნაჭუჭი-კი ძირს ჩამოუარა.

ბაჭია მივარდა ჩამოცვივნულ ნაჭუჭებს; ეგონა—ციუვუნიამ ცოტა რამ სტუმრისთვინაც გაიმეტაო, მაგრამ, რა ნახა, რომ რადაც მაგარი ნაჭუჭებია: მიამახა—ძმვიდობით, ციუვუნიაო, და თავის ბინისაკენ მოჰკურცხლა.

აქ მას სიხარულით მიეგებნენ მისი და-ძმები, [რომლებსაც უკვირდათ,



რა იქნა აქამდის ჩვენი უფროსი ძმაო,—რაკი დაიგვიანა ასე, ხომ არ დაიჭირეს, ან მონადირეებმა ხომ არ მოკლესო. დაუსხდნენ წინ და სთხოვეს ეამბნა მათთვის, თუ სად იყო ამდენ ხანს და რა ნახა, ან ვისგან რა გაიგონა.

ბაჭიამაც იხე კარგად უამბო ცქვიტ და მხიარულ ციყვის თავგადასავალი, რომ მათაც მოესურვათ იმის ნახვა და სამთავეო ტეისაკენ მოჰკურცხლეს, საკვირველი ციყვუნიას სანახავად.

ჩვენმა ბაჭიამ-კი მოსვენება არ ჩია: შემერა ჯაგს ქვეშ თავის ბუნაგში და ტკბილ ძილს მიეცა.

ტფილისის ... ...

მოკვდა კამეჩი ბეხია.

ზაქ. ფალიაშვილი.

Cantabile.

I II

Canto

Cantabile.

Piano

mf

zall.

Moderato.

mf 1) მო - კვდა, კა - მე - ჩი ბე -ხი - ა, ჰო - რი - დე - ლა

2) წა - დი, უთ- ხა - რი ჩემს-პა-ტრონს, ჰო - რი - დე - ლა

Moderato

cresc



3) მე მაშინ მოვაგონდები, ჰო-რი-დე-ლა,
დიდი აღმართის ყელშია, ჰო-რი-დე-ლა ნანა ჰო!

4) შეებას წვრილი მოზვრები ჰორიდელა,
იგრიხებოდნენ წელშია; ჰორიდელა ნანა ჰო!

5) იძახოდეს ატატატას,
ჰორიდელა,
სული მოვიდა ყელშია!
ჰორიდელა, ნანა ჰო.

საცეკვაო.

ზაქ. ფალიაშვილი.





*) ერთი.

ყველანი.



ერთი.

ყველანი.





3) გადგიშლი წიგნსა პატარას, ჰარალალო!
მეტ მოგიჯდები გვერდსაო; ჰარალალო;
4) გასწავლი წერა კითხვასა, ჰარალალო!
არაკებს გეტყვი ბევრსაო; ჰარალალო!
5) ვიმღერ და შენცა გამღერებ, ჰარალალო!
ლექსებს გასწავლი ძველსაო; ჰარალალო!

ეროვნული ბიბლიოთეკა
ლ. ასათიანის სახელმწიფო
ბიბლიოთეკა
ლ. ასათიანის სახელმწიფო
ბიბლიოთეკა
ლ. ასათიანის სახელმწიფო
ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა

ყოველ დღიურ ქართულ გაზეთ

„კოლხიდა“-ზე

წელიწადი მეოთხე.

გაზეთის დასაკვეთი ფასი:

ერთი წლით 7 მ. ნახევარ წლით 4 მ. ერთი თვით 4 აბაზი.

წლიურ ხელის-მომწერთ გაზეთის ფასი ამნაირ შალავათიანის წესით შეუძლიანთ გადაიხადონ:

ხელის მოწერის დროს **3** მან., პირველ მაისს **2** მან.: პირველ ენკენესთვეს **2** მან.

ცალკე ნომრის ფასი ერთი შაური.

მისამართის გამოცვლისათვის **ათი შაური.**

სოფლის უფასო წიგნ სატვ-სამკითხველოებს სტ. სათვისტომოებს, სოფლის მასწავლებლებს და შკოლებს გაზეთი ოთხ მანეთად დაეთმობათ. სხვა-გარეთ წლ.—14 მან. თვიურად ექვსი—აბაზი.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

„სახალხო გაზეთი“

გაზეთი გამოვა 1912 წელს იმავე პროგრამით როგორც 1911 წ. გამოდიოდა.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1912 წ. გაზეთს ექნება

სურათეგიანი დამატება კვირაობით.

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის. გაზეთის ფასი: წლით, როგორც ქალაქში, ისე ქალაქგარეთ 8 მ. და 50 კ. ნახევარი წლით 4 მ. 80 კ., წლიურ ხელის მომწერლებს შეუძლიანთ გაზეთის ფასი ნაწილ ნაწილადაც შემოიტანონ. ხელის მოწერა მიიღება „სახალხო გაზეთის“ კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ი. ავალიშვილთან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, редакція **„Сахалхо Газети“.**

1912 წ. მიილება ხელის მოწერა

დასურათებულ საუმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ“-ზე

✦ წელიწადი მერვე ✦

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 **წიგნი** „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის. **12** **წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს

✦ **დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინალური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.** ✦

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა **5** მან. ნახევარ წლით — **3** მან., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24** წიგნი — **3** მან. მოზრდილთათვის **12** წიგნი — **3** მან., ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა შეაძლება **ტფილისში** — „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის ს., გოლოვ. ბრ. № 8. Редакція „Накадули“ Головинскій пр. № 8. და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა. **ქუთაისში** — ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთაგრაშვილთან, და მარიამ ეკუხიშვილთან. **სამტრედიაში:** ივანე გლაბეკოვთან, **ფოთში** — თეოფილე კანდელაკთან. **ბათომში** — კ. სოფილ ნაკაშიძესთან და ტროფიმ ინასარიძესთან. **დ. ხონში** — ეკატერინე ვასალის ასულ ბახტაძესთან. **ოზურგეთში** — დეო ამნარძესთან. **თელავში** — ვანო ბაბტაშვილთან. **ახალციხეში** — კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში** — ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიავშვილთან. **გორში** — ნინო ლომურთან და ქეთევან კაკაბაძეთან. **სოხუმში** — კ. მარიამ ანჩაბაძესთან. **ჭიათურაში** — ივანე გომელაურთან, **განჯაში** — ბ. ამბოკაძესთან. **ერევანში** — გ. ოდიშარიასთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**